ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 21 06 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის
ბრძანება № 28

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 12 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და ,,ო" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

,,3. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, რექტორის ბრძანებით, ერთი აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში შეიძლება დადგინდეს სასწავლო პროცესის განსხვავებული ვადები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.".

ბ) მე-11 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 მუხლი:

,,მუხლი 11^1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში ასათვისებელ სასწავლო კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების სემესტრის, სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების და შეფასების პირობების და სხვა აუცილებელი საკითხების შესახებ, სტუდენტის განსხვავებული

მოთხოვნის, საჭიროების და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით, რაც ემსახურება საგანმანათლებლო პროცესში მის თავისუფლად მონაწილეობას.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების, მობილობის, სტუდენტის სხვა სახის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ხელშეწყობის მიზნით.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ სტუდენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს - სკოლას. გეგმის შედგენის ინიციატორი შესაძლებელია იყოს შესაბამისი სკოლა, რის შესახებაც ეცნობება სტუდენტს.

4. სტუდენტის ინდივიდუალური, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებით მატერიალური რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა და დამატებითი ადამიანური რესურსის გათვალისწინების აუცილებლობა, რის შესახებაც ასევე უნდა აღინიშნოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავებას უზრუნველყოფს შესაბამისი სკოლა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის და შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტის ჩართულობით.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საბოლოო ვერსია დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსისა და სტუდენტის ხელმოწერით. სკოლის შესაბამისი თანამშრომელი ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელს მიმართავს მოდიფიცირების ინიციატივით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი შედგენისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.".

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსებისა მართვის სამსახურს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მოოგე იაკობ